სსდ საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

29 დეკემბერი 2023

MRDI-RD N 2-03/21023

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2023 წლის 29 ნოემბრის №6/65225 წერილი, რომელიც შეეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში მდებარე 30639კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი N81.07.04.567) „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განკარგვის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული 30639კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი N81.07.04.567) განკარგვა წინამდებარე წერილის დანართით (იხ. დანართი) წარმოდგენილი, საერთაშორისო მნიშვნელობის **თბილისის შემოსავლელი** საავტომობილო გზის განთვისების ზოლის ბუფერს მიღმა.

საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 თებერვლის **№289** განკარგულება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული 30639კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი N81.07.04.567) საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელის საავტომობილო გზასთან პირდაპირი მიერთება ვერ მოხდება და მასთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ არსებული შიდა საგზაო ქსელის მეშვეობით.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 1 zip ფაილი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE